



# გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი

სსიპ-ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის

2022 წლის წლიური ანგარიში

2022 წელი საპასუხისმგებლო იყო სსიპ ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯისათვის. ჩვენ მიერ განხორციელებული აქტივობები 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად მიმდინარეობდა და მიმართული იყო ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის ზედმიწევნით შესასრულებლად. კოლეჯმა 2022 წელს გაიარა გეგმიური რეავტორიზაცია პროფესიული განათლების ახალი სტანდარტების შესაბამისად. ამ საპასუხისმგებლო პროცესის მაღალ დონეზე ჩატარების მიზნით, შედგა სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგებოდა კოლეჯის დირექტორის მიადგილის, იურისტის, სასწავლო პროცესის მენეჯერის, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელებისაგან. ჯგუფმა დიდი მუშაობა გასწია, შეაგროვა უზარმაზარი მასალა, რათა დროულად, 2022 წლის 24 ივნისს საავტორიზაციო განაცხადი სტანდარტების შესაბამის მტკიცებულებებთან ერთად წარედგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში

2022 წლის 11-13 ოქტომბერს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარდა ავტორიზაციის ვიზიტი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისობის შეფასების მიზნით განხორციელდა ადმინისტრაციასთან შეხვედრა, ინტერვიუები ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებთან, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვასა და შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირებთან, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირთან, ბიბლიოთეკართან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან და მატერიალური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირთან. მოხდა დაწესებულების მატერიალური რესურსების, ინფრასტრუქტურის, ბიბლიოთეკისა და ფონოთეკის დათვალიერება. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა ინტერვიუები დაწესებულების IT სპეციალისტთან, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვაზე პასუხისმგებელ პირთან, პროფესიულ სტუდენტებთან და დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირთან. ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულებაში წესრიგის დაცვის, უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმების გადამოწმება, დაწესებულების შეფასება ფინანსური მდგრადობის მიზნით, პირველადი გადაუდებელი დახმარებისთვის მექანიზმის/რესურსის გადამოწმება და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება. დღის ბოლოს ექსპერტების მიერ მოხდა მიგნებების შეჯამება და მათი პრეზენტაცია დაწესებულების წარმომადგენლებთან. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტმა მშვიდ და საქმიან გარემოში ჩაიარა. 2022 წლის 5 დეკემბერს კოლეჯს 6 წლის ვადით მიენიჭა ავტორიზაცია. ექსპერტთა დასკვნის საფუძველზე შედგა ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა და დაისახა ნაწილობრივი და მეტწილი შესაბამისობის აღმოფხვრის გზები და ვადები. დამტკიცებულ ვადებში აღმოიფხვრა

ნაწილობრივი შეუსაბამობები, ხოლო შშმ პირთა გარემოს მოსაწესრიგებლად ვადა 2024 წლის 7 ივნისამდე. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ჩატარებული საქმიანობის მტკიცებულებების სრულყოფაზე.

სსიპ-ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა კოლეჯის თანამშრომლებისა და პროფესიული სტუდენტების ხედვისა და შეფასების შესწავლის შედეგია. ის შემუშავდა კოლეჯის 2020-2026 წლების სტრატეგიული გეგმის მიხედვით და წარმოადგენს კოლეჯის სამუშაო პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტს, რომელიც ხელს უწყობს კოლეჯის პედაგოგიური კოლექტივისა და ადმინისტრაციის გაერთიანებას საერთო ღირებულებებისა და პრინციპების გარშემო, ისევე როგორც მათ შეთანხმებულ მუშაობას კოლეჯის მისიის განსახორციელებლად. სტრატეგიული გეგმა ერთობლივი მუშაობის შედეგია და ეფუძნება დაწესებულების ხედვას, დანიშნულებას, მუშაობის მთავარ პრინციპებს, მნიშვნელოვან მიზნებსა და ამოცანებს, ასევე მათი გადაწყვეტის გზებსა და საშუალებებს 2020-2026 წლებში. კოლეჯის ერთწლიანი გეგმა ეყრდნობოდა კოლეჯის მიერ განსაზღვრულ მისიას, ხედვასა და ღირებულებებს, აგრეთვე მათი განხორციელების გზებს.

კოლეჯის ადმინისტრაციისა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა მთავარი მიზანია, რომ 2026 წლისათვის სსიპ-ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი იყოს სამუსიკო მიმართულების წამყვანი პროფესიული სასწავლო დაწესებულება, რომელსაც გააჩნია მაღალი ნდობა და აღიარება და რომელიც თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პროფესიული კადრებით უზრუნველყოფს სამუსიკო სფეროში არსებული საკადრო მოთხოვნებს.

კოლეჯის შესაძლებლობები: დღეისათვის ჩვენი კოლეჯი ერთადერთი პროფესიული სასწავლებელია, რომელიც ახორციელებს სამუსიკო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. კოლეჯის ხარისხის სამსახური მონაწილეობდა ხარისხის ცენტრის მიერ ამ პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის ოპტიმიზირების პროცესში. ახალ სტანდარტში კანონმდებლობასთან შესაბამისობაში არის მოყვანილი მისანიჭებელი კვალიფიკაცია და ასევე დოკუმენტი გასწორებულია მეთოდოლოგიურადაც. სამწუხაროდ, სახელოვნებო განათლების რეფორმის გაჭიანურების გამო ვერ მოხდა საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში ახალი კონცენტრაციების დამატების შეთანხმება, აგრეთვე მომზადება/გადამზადების პროგრამების შემუშავება..

ბაზრის კვლევისას, დამსაქმებლებთან შეხვედრისას, ვრწმუნდებით, რომ რეგიონებში მზარდი მოთხოვნა სამუსიკო სკოლისგარეშე, სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესიონალ კადრებზე, დღეს ამ სფეროში დასაქმებულთა დიდი უმრავლესობა საპენსიო ასაკს არის გადაცილებული, ახალი კადრების მომზადება კი ჩვენი კოლეჯის გარდა არსად არ ხდება, რაც შესაძლებლობას აძლევს კოლეჯს, ახალი პროგრამების არსებობის შემთხვევაში, დაიმატოს ისინი სპეციალისტებზე მოთხოვნის გათვალისწინებით.

განსაკუთრებით დიდი მოთხოვნაა დაწყებითი სამუსიკო სკოლის მასწავლებლებზე, რომელთა მომზადებასაც 2009 წლამდე წარმატებით უზრუნველყოფდა პროფესიული სამუსიკო სასწავლებლები, რისი უფლებაც, სამწუხაროდ, დღეს მოქმედი კანონმდებლობით, კოლეჯს აღარ გააჩნია მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯში სწავლის ყველა მსურველს, სრულ ზოგად განათლებასთან ერთად მიღებული აქვს საკმაოდ საფუძვლიანი და ხანგრძლივი, 6, 9 ან 11 წლიანი სამუსიკო განათლება.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის N114/ნ ბრძანებით საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი დაფუძნდა ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯის უფლებამონაცვლედ. რომელიც, თავის მხრივ, 55 წლიანი ტრადიციების მქონე საშუალო სპეციალური სასწავლებლისგორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის უფლებამონაცვლედ დაფუძნდა 2011 წელს. სწორედ 2019 წლიდან კოლეჯში

დაინერგა მოდულური პროგრამები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - პიანისტ-აკომპანიატორი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მუსიკის რეპეტიტორი. 2020 წლის მაისში განხორციელდა ცვლილებები აღნიშნულ პროგრამებში დღეს მოქმედი ორივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება „სამუსიკო ხელოვნების“ ჩარჩო დოკუმენტის კვალიფიკაციას პიანისტ-აკომპანიატორისა და მუსიკის რეპეტიტორის კონცენტრაციების საფუძველზე. 2021 წლის დეკემბერში დასრულდა სწავლება V საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე(მიღევადი საგნობრივი პროგრამები), ასე, რომ ამჟამად კოლეჯი ახორციელებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებულ სამუსიკო მიმართულების ორ პროგრამას:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა პიანისტ-აკომპანიატორი. კვალიფიკაცია-  
„უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სამუსიკო ხელოვნებაში“

-Higher Vocational Qualification in Music Art  
პროგრამის ხანგრძლივობაა 28 თვე

პროგრამის მოცულობა-144 კრედიტი პროფესიული საგანმანათლებლო  
პროგრამა „მუსიკის რეპეტიტორი“ კვალიფიკაცია „უმაღლესი პროფესიული  
კვალიფიკაცია სამუსიკო ხელოვნებაში“

-Higher Vocational Qualification in Music Art

პროგრამის ხანგრძლივობა 20 თვე მოცულობა-108 კრედიტი

იმის გამო, რომ წლების განმავლობაში სამუსიკო განათლება არ არის ფორმალიზებული, შეფერხებულია სამუსიკო მიმართულების ახალი სტანდარტების და პროფესიების შექმნა და დანერგვა... 2021 წლის დეკემბრიდან საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტმა და საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრომ, დარგობრივმა საბჭომ მუშაობა განაახლა სამუსიკო განათლების რეფორმაზე, მისი ფორმალური განათლების სტანდარტებში მოქცევასა და საფეხურებისა და კვალიფიკაციების დადგენაზე. ჩვენ აქტიურად ვართ ჩართული დოკუმენტის შემუშავებაში, კოლეჯის დირექტორი მონაწილეობდა კომიტეტის ონლაინ შეხვედრებში, კომიტეტსა და კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს გავუზიარეთ ჩვენი გამოცდილება და მივაწოდეთ ჩვენი ხედვა საკითხთან დაკავშირებით. იმედს გამოვთქვამთ, რომ მიღებული გადაწყვეტილებები სასიკეთოდ წაადგება პროფესიულ სამუსიკო განათლებას და გზას გაგვიხსნის ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნისა და დანერგვისაკენ.

2022 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგს, მეთოდოლოგიის თანახმად, ახორციელებდა დირექტორის მოადგილე- ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.წელიწადში ორჯერ, მეორე და მეოთხე კვარტლის ბოლოს, კოლეჯის ადმინისტრაციული პრსონალი და თანამშრომლები წარმოადგენენ ანგარიშს გეგმის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე, მათი კომპეტენციების შესაბამისად. ერთწლიანი სამოქმედო, ისევე როგორც სტრატეგიული გეგმის ყველა პუნქტი, ემსახურება ხარისხიანი ცოდნით აღჭურვილი პროფესიული კადრების მომზადებას. ამ ძირითად ხაზს ემსახურება კოლეჯში დაგეგმილი თუ ჩატარებული ყველა აქტივობა. ადამიანური საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები.

კოლეჯში სასწავლო პროცესი აუდიტორიებში განახლდა 2022 წლის 17 იანვარს და გაგრძელდა მასთან დაკავშირებული ყველა აქტივობები. სასწავლო პროცესის წყვეტების გამო შეცვლილი სასწავლო გეგმები თანდათან დაუბრუნდა ჩვეულ რეჟიმს. სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ ზედმიწევნით კონტროლდება მოდულების სწავლის შედეგების დადასტურების ვადების შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან, ყოველკვირეულად ახლდება სამეცადინო ცხრილები, საინფორმაციო დაფაზე იკვრება ყოველკვირეული სამეცადინო ცხრილი. ახალი მოდულის დაწყებამდე ტარდება შეხვედრები კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ხდება მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა. სისტემატიურად ტარდება გრაფიკით დაგეგმილი შიდა მონიტორინგი - ლექცია გაკვეთილებზე დასწრება და სხვა. რაც ფიქსირდება შესაბამის დოკუმენტაციაში.

იანვრის ბოლოს დასრულდა მოდულური საგანმანათლებლო პროგრამა მუსიკის რეპეტიტორის პირველი - 2019 წლის მიღების ჯგუფის სასწავლო კურსი. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შექმნილმა საკვალიფიკაციო კომისიამ, 2022 წლის 4 თებერვლიდან შეისწავლა სტუდენტთა პირადი საქმეები, პორტფოლიო, მათ მიერ საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნათა შესრულების ხარისხი და სწავლის შედეგების დადასტურების ამსახველი მატერიალური თუ ელექტრონული მტკიცებულებები. კომისიამ აღნიშნა, რომ ყველა სტუდენტმა აითვისა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სრული კურსი და მოიპოვა განსაზღვრული 108 კრედიტი, რაც სრულ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტთან. საკვალიფიკაციო კომისიის დასკვნისა და რეკომენდაციის საფუძველზე, კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 17 თებერვლის N2/3 ბრძანებით უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მუსიკის რეპეტიტორის 2019 წლის მიღების ოთხივე კურსდამთავრებულს: ვენერა ალიხანაშვილს, ციალა რობაქიძეს, მონიკა სანაიასა და თამარ ხაბაზიშვილს მიენჭათ უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სამუსიკო ხელოვნებაში.

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 30 ივნისის ბრძანება N2/6-ით, პროფესიული პროგრამა - მუსიკის რეპეტიტორის 2020 წლის მიღების 4 კურსდამთავრებულს ნინო გიგაურს, ხატია ვათიაშვილს, ზაურ ნებიერიძეს და მაკა პაპუკიშვილს მიენიჭა უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სამუსიკო ხელოვნებაში.

კოლეჯში განხორციელებადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ორივე კონცენტრაციის პროგრამის ხელმძღვანელები, ლელა ანთია და თამარ მშვიდლობაძე, აქტიურად არიან ჩათულნი სასწავლო პროცესში. თითოეულს შექმნილი აქვს საკუთარი ელექტრონული ბაზა, რომელშიც დაფიქსირებულია ინფორმაცია მათ პროგრამებზე დარეგისტრირებულ, ჩარიცხულ, აქტიურ თუ სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ ან შეწყვეტილ სტუდენტებზე. დღეისათვის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა პიანისტ - აკომპანიატორის პროგრამაზე სწავლობს 7 აქტიური პროფესიული სტუდენტი, ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მუსიკის რეპეტიტორის პროგრამაზე სწავლობს 11 აქტიური პროფესიული სტუდენტი. პროგრამის ხელმძღვანელები მჭიდრო კონტაქტში არიან პროფესიულ სტუდენტებთან, ითვალისწინებენ და შეძლებისდაგვარად დახმარებას უწევენ სასწავლო პროცესში მათთვის წარმოქმნილ სირთულეების დაძლევაში. ესწრებიან ლექციებსა და ინდივიდუალურ მეცადინეობებს. სასწავლო პროცესის მენეჯერთან თანამშრომლობით აწესრიგენ კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ კალენდარულ-თემატურ გეგმებისა და დასწრების ჟურნალების დროულ და ხარისხიან შევსება - წარმოებას; პროფესიულ სტუდენტებს მაქსიმალურად უწყობენ ხელს, რათა ისინი ორიენტირებულნი იყვნენ მაღალი ხარისხის განათლების მიღებაზე, რისთვისაც კოლეჯში ყველა პირობაა შექმნილი. პროგრამის ხელმძღვანელებმა პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერთან ერთად მაისის თვეში განხორციელეს დაგეგმილი შეხვედრები გორისა და გორის მუნიციპალიტეტის სკოლებში. ხიდისთავის და სკრის საჯარო სკოლებში გამართულ შეხვედრებზე, მეთორმეტე კლასის მოსწავლეებს კოლეჯში მიმდინარე პროცესებისა და წარმატებების ამსახველი ვიდეორგოლებისა და ბუკლეტების მეშვეობით, მიაწოდეს ინფორმაცია კოლეჯში განხორციელებად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, ესაუბრნენ პროფესიული განათლების პოპულარიზაციაზე, უპასუხეს კითხვებზე. მომავლისთვის იგეგმება ამ შინაარსის შეხვედრები ჩატარდეს უფრო ადრე და გამრავალფეროვნდეს რამოდენიმე საკონცერტო ნომრის ცოცხალი შესრულებით.

სასწავლო პროცესის სრულყოფილად და ხარისხიანად წარმართვაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბიბლიოთეკისა და ფონოტეკის გამართულ მუშაობას. კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიული სტუდენტები ინტენსიურად იყენებენ ბიბლიოთეკაში არსებულ საკმაოდ მდიდარ და მრავალრიცხოვან საგანმანათლებლო რესურსსა და სამკითხველო დარბაზს. 2022 წელს კოლეჯმა შეისყიდა და დააინსტალირა ელექტრონული პროგრამა Open Biblio, ბიბლიოთეკარმა მარინე ჯაყელმა სათანადო ტრენინგის გავლის შემდეგ, დაიწყო მუშაობა ელექტრონული კატალოგის შექმნაზე, რომელიც დღემდე მიმდინარეობს. ბიბლიოთეკის ფონდი პერიოდულად მდიდრდება როგორც შესყიდული, ისე ყოფილი სტუდენტებისა თუ მასწავლებლების, ასევე ავტორების მიერ გადმოცემული სანოტო ლიტერატურითა და წიგნებით. ბიბლიოთეკას აქვს ფონდის მატერიალური და ელექტრონული კატალოგი, აქვე დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომია პროფესიული პროგრამების კატალოგი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები - პიანისტ-აკომპანიატორი და მუსიკის რეპეტიტორი მათში შემავალი მოდულებით. და სისტემატიზებულია მოდულებში შემავალი საგანმანათლებლო რესურსი.

ფონოტეკა(ფონოტეკის მუშაკი მანანა გოგიჩაშვილი), ისევე როგორც ბიბლიოთეკა მუშაობს სამუშაო გრაფიკის მიხედვით. პროფესიულ პროგრამებში შემავალი მოდულების - საზღვარგარეთის მუსიკის მოსმენა და აღქმა, ქართული პროფესიული მუსიკის მოსმენა და აღქმა და სხვა მონათესავე მოდულების განსახორციელებლად პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიული სტუდენტები სისტემატურად სარგებლობენ ფონოტეკაში არსებული ყველა საჭირო რესურსით: ინტერნეტქსელში ჩართული კომპიუტერები, აუდიო მაგნიტოფონი (მოძრავი), მუსიკალური ცენტრები, 2000-მდე ფირფიტა და CD დისკი.

კოლეჯის სასწავლო პროცესის დამხმარე სპეციალისტის შორენა ცერცვაძის მიერ, სისტემატურად ხდება ემისის ბაზის განახლება, შევსება, ხელშეკრულებებისა და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ატვირთვა. მან მონაწილეობა მიიღო ემისის მიერ ორგანიზებულ ელექტრონული ჟურნალების წარმოებასთან დაკავშირებულ ონლაინ ჩართვაში, ხოლო 2022 წლის ნოემბრიდან სასწავლო პროცესის მენეჯერთან ერთად შერჩეულ იყვნენ ელექტრონული ჟურნალის (საპილოტე პროგრამა) წარმოების პასუხისმგებელ პირად - ადმინისტრატორად. სასწავლო პროცესის მსვლელობისას სისტემატურად ახდენს დადასტურებული სწავლის შედეგების მტკიცებულებების შეგროვება - დახარისხებას და მათ შეტანას თითოეული პროფესიული სტუდენტის ელექტრონულ პორტფოლიოში. შ.ცერცვაძე არის რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი.

კოლეჯში ავტორიზაციის პროცესში საქმისწარმოების წესის განხორციელებაში დაფიქსირდა ხარვეზი-სექსუალური დანაშაულის შესახებ ცნობა წარმოდგენილი ჰქონდათ ძირითადად ახალ დანიშნულ თანამშრომლებს. აღნიშნული ხარვეზი აღმოიფხვრა სასწრაფოდ, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში. საქმისწარმოება კოლეჯში რეგულირდება საქმისწარმოებისა და ელექტრონული დოკუმენტბრუნვის წესის შესაბამისად, შრომის შინაგანაწესით და კოლეჯში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტებით.

2022 წლის მარტიდან კოლეჯს ჰყავს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. შემუშავდა შრომის დაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა, შემუშავდა ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები, შემუშავდა და დამტკიცდა რისკების შეფასებისა და მართვის მეთოდოლოგია, დადგენილი ინტენსივობით შეფასდა რისკები და მიღებულ იქნა შესაბამისი ღონისძიებები, დასაქმებულებს ჩაუტარდათ ინსტრუქტაჟები და აღირიცხა შესაბამისი ჟურნალში, შემუშავდა და საგანგებო სიტუაციების სამსახურთან შეთანხმდა „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა“ , შემუშავდა და თვალსაჩინო ადგილას განთავსდა ხანძრის შემთხვევაში მოქმედების წესები სამუსიკო კოლეჯში დასაქმებულებისათვის და ვიზიტორებისათვის, განახლდა პირველადი ცეცხლის ქრობის საშუალებები(ცეცხლმაქრები) კოლეჯში მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს საფრთხეების აღმოჩენა, რისკების შეფასება და ნარჩენი რისკების კონტროლი.

კოლეჯში მატერიალურ რესურსების მოწესრიგებას, შევსებას და განახლებას ხელმძღვანელობს მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის მენეჯერი, იგი კოლეჯის სტრუქტურის თანახმად მის დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომლობთან ერთად სისტემატურად აწესრიგებს

მატერიალურ უზრუნველყოფის საკითხებს. მთავარ ბუღალტერსა და შესყიდვების სპეციალისტთან ერთად ხდება სასწავლო პროცესისათვის თუ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დასაცავად აუცილებელი მატერიალური რესურსების შესყიდვა, რაც ინახება სასაწყობედ გამოყოფილ სივრცეებში. თანამშრომლების მოთხოვნით მათ სახელზე გაცემული რესურსი ტარდება სპეციალურ საკანცელარიო წიგნში და დასტურდება მათი ხელის მოწერით. კოლეჯის დამლაგებლები უზრუნველყოფენ კოლეჯის შენობისა და მიმდებარე ტერიტორიის ყოველდღიურ სისუფთავეს. კოლეჯის დამხმარე მოსამსახურე, რომელიც ზამთრის სეზონზე დირექტორის ბრძანებით ითავსებს გათბობის სისტემაზე პასუხისმგებლობას, სისტემატურად აწესრიგებს შენობაში წარმოშობილ წვრილმან ტექნიკურ პრობლემებს, შეძლებისდაგვარად უვლის კოლეჯის ეზოსა და მიმდებარე ტერიტორიას. კოლეჯის ორი დარაჯი, ქალთა კამერული გუნდის დარაჯთან ერთად, ოცდაოთხ საათიან რეჟიმში მონაცვლეობით იცავენ შენობას და უზრუნველყოფენ მასში მიმდინარე პროცესების მშვიდ წარმართვას. 2022 წელს კოლეჯის ორივე სართულზე და ტერიტორიაზე დამონტაჟდა შვიდი სათვალთვალო კამერა, რომელთა მეშვეობითაც კონტროლდება კოლეჯის შიდა და გარე პერიმეტრი. კამერები აღჭურვილია ერთკვირიანი შენახვის ფუნქციით და შეერთებულია სათვალთვალო მონიტორთან, რომელიც დგას დარაჯის მაგიდაზე.

2022 წლის ივნისიდან კოლეჯს ყავს ახალი IT ქსელის ადმინისტრატორი. შემოწმდა კოლეჯში არსებული კომპიუტერული ტექნიკა, რამდენიმე კომპიუტერზე განახლდა სისტემა, გააქტიურა საოფისე პროგრამები, ეხმარება პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერთან კოლეჯის ვებ-ვერდის მართვასა და განახლებაში. წესრიგში მოყავს და ვირუსებისგან ასუფთავებს კოლეჯის კომპიუტერულ ლაბორატორიაში (N15კლასი), ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო ადგილებზე და რამოდენიმე საკლასო ოთახში განლაგებულ კომპიუტერებს. მოთხოვნის მიხედვით სწრაფად აღმოფხვრის ხარვეზებს. მოახდინა TP-link-ის Wifi router -ის კონფიგურაცია.

კოლეჯში დაცულია სანიტარული უსაფრთხოების ნორმები. კოლეჯის მედდის ოთახში კარადაში ინახება პირველადი სამედიცინო დახმარების აუცილებელი მედიკამენტები. იგი აწარმოებს სპეციალურ ჟურნალს, რომელშიც გაწერილია კოლეჯში სამუშაო ადგილებისა და სივრცის დეზინფექციის ჩატარების გრაფიკი, მითითებულია შესყიდული სადეზინფექციო ხსნარების ჩამონათვალი. აკონტროლებს გრაფიკის შესრულებას. ა/წ. ივნისის თვეში, გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის მიერ, კოლეჯში განხორციელდა გეგმიური ტესტირება C ჰეპატიტის კვლევაზე, რომელიც მიმდინარეობდა კოლეჯის მედდის ჩართულობით.

2021 წელთან შედარებით 2022 წელს კვლავ გაუმჯობესდა პროფესიულ სტუდენტთა ინტერნეტსა და სმარტ-მოწყობილობებზე წვდომა. სასწავლო პროცესი, გასულ წელთან განსხვავებით, უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა. მოდულების ძირითადი ნაწილის სწავლება და პროფესიულ სტუდენტთა კონსულტირება ხორციელდებოდა პირისპირ რეჟიმში.

მიუხედავად ამისა, ხორციელდებოდა სასწავლო პროცესის ონლაინ, დისტანციურ ან კომბინირებულ რეჟიმში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის შესწავლა და სწავლების დაგეგმვა დისტანციური სწავლების შემთხვევაში, მოდულების თავისებურებების გათვალისწინებით.

სასწავლო წლის განმავლობაში დიდი ყურადღება ექცეოდა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან შეფასების ინსტრუმენტებსა და შეფასების მეთოდებზე მუშაობას. ყოველივე ეს დადებითად აისახა საგანმანათლებლო პროცესის ხარისხზე. განსაკუთრებით საყურადღებოა მასწავლებელთა ჩართვა დისტანციურ სწავლებასთან, შეფასების საკითხებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლის სტანდარტთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებულ ტრენინგებსა და დარგობრივ ჯგუფებში. მიზანი-შეფასების ინსტრუმენტების სრულყოფისთვის, სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვის, პროფესიული მასწავლებლის სტანდარტთან შესაბამისობისთვის მზადყოფნა.

როგორც აღვნიშნეთ, კოლეჯის პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელები და მასწავლებლები სისტემატურად მონაწილეობდნენ ხარისხის ეროვნული ცენტრის, პროფესიული უნარების სააგენტოს, მასწავლებლის მომზადების ცენტრის მიერ ორგანიზებულ ონლაინ-ტრენინგებში, კოლეჯის კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორის, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ურთიერთთანამშრომლობით და დახმარებით, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ ხორციელდებოდა შიდა ტრენინგები ელექტრონული სასწავლო პლატფორმების (Microsoft Teams, ZOOM) გამოყენების ინსტრუქციების შესასწავლად. ახალ ჩარიცხულ პროფესიულ

სტუდენტებთან ჩატარდა სატელეფონო გამოკითხვა ინტერნეტთან წვდომასა და კომპიუტერული ტექნიკის ფლობასთან დაკავშირებით. გამოკითხვის შედეგები გადაიგზავნა „პროფესიული განათლების მართვის სისტემაში“ ([www.vet.emis.ge](http://www.vet.emis.ge)) მათივე მოთხოვნით. საბედნიეროდ, კოლეჯის მოდულური პროგრამების ყველა პროფესიულ სტუდენტს აქვს წვდომა ინტერნეტ-რესურსებთან.

პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი სისტემატურად ახდენს კოლეჯის ოფიციალური ვებ-გვერდისა ([www.gorimuscollege.edu.ge](http://www.gorimuscollege.edu.ge)) და სოციალური ქსელის ([www.facebook.com](http://www.facebook.com)) განახლებას, რაც გულისხმობს ყველა სიახლის, განცხადების თუ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ წინასწარ დაანონსებას და განთავსებას. ასევე 6 თვეში ერთხელ ხდება კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ბაზების განახლება. 6 თვეში ერთხელ წინასწარ შედგენილი კითხვარებით ხდება კოლეჯის პროფესიული სტუდენტების, პროფესიული მასწავლებლების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვა.

მოგეხსენებთ, რომ კორონა ვირუსის პრევენციიდან გამომდინარე აქტუალური გახდა, შემდეგ კი დამკვიდრდა ონლაინ შეხვედრები თიმში, ზუმში და სხვა ონლაინ პლატფორმებზე. იმართება ონლაინ საინფორმაციო შეხვედრები და ტრენინგები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, პროფესიული უნარების სააგენტოსთან და ასევე სხვადასხვა სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ს.ცინცამის სახელობის სამუსიკო კოლეჯის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, კოლეჯის პროფესიული მასწავლებლები, სასწავლო პრაქტიკის, პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი აქტიურად არიან ჩართულები და იღებენ მონაწილეობას ტრენინგებსა თუ სხვადასხვა საინფორმაციო შეხვედრებში.

სსიპ - ქ. გორის ს.ცინცამის სახელობის სამუსიკო კოლეჯის პროფესიულ მასწავლებელთა და თანამშრომელთა ტრენინგებში ჩართულობა

2022 წელი

**10-13 იანვარს** ს. ცინცამის სახელობის სამუსიკო კოლეჯში კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, დირექტორის მოადგილის თამარ სოსანიძის ორგანიზებით გაიმართა შეხვედრა 2022 წლის სასწავლო პროცესის განახლებასთან დაკავშირებით, ასევე შეხვედრაზე განხილულ იქნა საკვალიფიკაციო მოდულის „პრაქტიკული პროექტი მუსიკის რეპეტიტორი“ შეფასებისა და მტკიცებულებების პრინციპი. შეხვედრას ესწრებოდნენ კოლეჯის პროფესიული მასწავლებლები.

**17 იანვარს** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გაიმართა ონლაინ შეხვედრა სახელოვნებო განათლების რეფორმასთან დაკავშირებით პარლამენტის იურისტებთან და სამუსიკო მასწავლებლის, დირექტორებთან. შეხვედრას დაესწრო ს.ცინცამის სახელობის სამუსიკო კოლეჯის დირექტორი ნადეჟდა მანჯავიძე.

**17 იანვარს** ს.ცინცამის სახელობის სამუსიკო კოლეჯში გაიმართა შეხვედრა სახელმწიფო საკვალიფიკაციო გამოცდის შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება. შეხვედრას ესწრებოდნენ ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი თამარ სოსანიძე, ასევე თამარ მშვიდლობაძე და მარიკა კაპანაძე.

**27 იანვარს** ს. ცინცამის სახელობის სამუსიკო კოლეჯში გაიმართა შეხვედრა შეხვედრაზე ერთხმად აირჩიეს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. შეხვედრას ესწრებოდნენ კოლეჯის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, პროფორიენტაციის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი და პროფესიული განათლების მასწავლებლები.

**28 იანვარს** ონლაინ პლატფორმაზე Zoom-ის გამოყენებით გაიმართა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ კონფერენცია რომელზეც განხილული იქნა უმაღლესი პროფესიული და ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარების კუთხით მიღწევები და გამოწვევები. შეხვედრას ესწრებოდნენ კოლეჯის დირექტორი ნადეჟდა მანჯავიძე და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი თამარ სოსანიძე.

**31 იანვარს** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ონლაინ პლატფორმის Teams-ის გამოყენებით გაიმართა შეხვედრა 2022 წლის მიღებასა და ანკეტა-კითხვარების შევსების ვადებთან დაკავშირებით.

**31 იანვარს** ს.ცინცაძის სახელობის კოლეჯში გაიმართა სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა შეხვედრაზე აირჩიეს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი. სხდომას ესწრებოდნენ ქ.გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი ქ. ლელა მაისურაძე, ს.ცინცაძის სახელობის კოლეჯის დირექტორის მოადგილე ქ.თამარ სოსანიძე ,პროფესიული განათლების მასწავლებელი ქ.თამარ მშვიდლობაძე, ქ.გორის # 10 ბაგა-ბაღის დირექტორი ქ.ლია ჭონიშვილი, ქ.გორის ვანო მურადელის სახელობის სამუსიკო სკოლის პედაგოგი ქ. მარგალიტა კოშაძე.

**2 თებერვალს** კონფერენცია გაიმართა ონლაინ პლატფორმა Zoom-ის გამოყენებით პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ, შეხვედრაზე განხილულ იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით კონსულტირების ეფექტიანი სისტემების შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს როგორც პროფესიულ განათლებას, ასევე რიგი პროფესიების პოპულარიზაციას.

**21 თებერვალს** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების , სამინისტროს მიერ გაიმართა ონლაინ შეხვედრა სახელოვნებო განათლების რეფორმასთან დაკავშირებით პარლამენტის იურისტებთან და სამუსიკო მასწავლებლების დირექტორებთან.

**1 მარტს** ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში გაიმართა ტრენინგი შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, სადაც განხილულ იქნა შრომის უსაფრთხოების საკითხები და მასთან დაკავშირებული წესები. ტრენინგს დაესწრო კოლეჯის ყველა თანამშრომელი, უძღვებოდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ვლადიმერ ახოზაძე.

**1 მარტს** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, გაიმართა ონლაინ შეხვედრა Teams-ის პლატფორმის გამოყენებით, შეხვედრაზე განხილულ იქნა 2022 წლის მიღებების და ანკეტა კითხვარების შევსების საკითხები.

**9 მარტს** შეხვედრა მიმდინარეობდა ონლაინ პლატფორმა Teams-ის გამოყენებით, განხილულ იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2021 წლის მიღების შედეგები და 2022 წლის მიღების გეგმა. შეხვედრის ორგანიზატორები იყვნენ კოლეჯების კოორდინაციის სამმართველო, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. შეხვედრასა დაესწრო დირექტორი და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. ნადეჟდა მანჯავიძე და თამარ სოსანიძე.

**21 მარტს** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გაიმართა ონლაინ შეხვედრა პლატფორმის Teams-ის გამოყენებით, სადაც განიხილეს 2022 წლის მიღებასთან დაკავშირებით სხვადასხვა საკითხები და ალტერნატიული ვადები. ესწრებოდნენ კოლეჯის დირექტორი ნადეჟდა მანჯავიძე და სასწავლო პროცესის მენეჯერი დარეჯან ნასუაშვილი.

**25 მარტს** გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის საკონცერტო დარბაზში გაიმართა კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა და კოლეჯთან არსებული სამუსიკო სემინარიის მოსწავლეთა კონცერტი .კონცერტი მიემდვნა უკრაინაში შექმნილ მდგომარებას.

**აპრილის** თვეში დაიწყო მუშაობა კითხვარებზე შემუშავდა სხვადასხვა სახის კითხვარები კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისთვის, კოლეჯის კურსდამთავრებულებისთვის პროფესიული მასწავლებლებისთვის, და ასევე დამსაქმებლებისთვის.

**5 აპრილს** ა აიპ. პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ გაიმართა შეხვედრა, შეხვედრაზე განხილული იქნა პროფესიული განათლების პოპულარიზაციისა და მიმდინარე წლის სარეგისტრაციო კამპანიის განხილვის საკითხები. ესწრებოდნენ კოლეჯის დირექტორი, სასწავლო პროცესის მენეჯერი და სასწავლო პრაქტიკის პორფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი.

**13 აპრილს** სსიპ. განათლების მართვის საინფორმაციო ცენტრის მიერ გაიმართა, ონლაინ შეხვედრა პლატფორმა Teams-ის გამოყენებით, შეხვედრაზე განიხილეს 2022 წლის ანკეტა კითხვარების საკითხები და მიღების წესები.

**13 აპრილს** გაიმართა შეხვედრა ონლაინ პლატფორმის Teams-ის გამოყენებით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეხვედრაზე განიხილეს ავტორიზაციის პროცედურები ,ვადები და ადმინისტრაციული მხარდაჭერის საკითხები.

**14 აპრილს** განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაიმართა ონლაინ შეხვედრა Teams-ონლაინ პლატფორმის გამოყენებით, შეხვედრაზე განხილული იქნა ანკეტა კითხვარის შევსებასთან და შერჩევის მეთოდების მონიშვნასთან დაკავშირებული საკითხები.



**19 აპრილს** პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ გაიმართა ონლაინ შეხვედრა სადაც ისაუბრეს კონკურსში „2022 წელის პროფესიული განათლების ჯილდო“ მონაწილეობის მიღების წესებზე, სპონსორებზე და სხვადასხვა ნომინაციებზე.

**27 აპრილს** გაიმართა შეხვედრა განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, შეხვედრა მიმდინარეობდა დისტანციურად, ონლაინ პლატფორმის Teams-ის გამოყენებით. შეხვედრა გაიმართა იმ დაწესებულებების ხელმძღვანელებთან ვიცას უწევთ განმეორებითი ავტორიზაცია, განხილულ იქნა ავტორიზაციასთან დაკავშირებული საკითხები.

**4 მაისი** ს.ცინცამის სახელობის სამუსიკო კოლეჯში დირექტორის მოადგილის კაბინეტში გაიმართა შეხვედრა, ესწრებოდნენ დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი და პროგრამის ხელმძღვანელები, ასევე სასწავლო პროცესის, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. შეხვედრაზე დაიგეგმა გორის და გორის რაიონის სკოლებში პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად გაცნობითი ხასიათის შეხვედრები.

**10 მაისი** პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ გაიმართა შეხვედრა ონლაინ პლატფორმაზე, შეხვედრა დაეთმო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების ჩარიცხვასთან დაკავშირებულ საკითხებს. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ კოლეჯის ადმინისტრაცია დარეგისტრირებისთანავე უნდა იყოს ინფორმირებული რა სპეციალური საჭიროებებს საჭიროებს აპლიკანტი და გაეწიოს სათანადო დახმარება.

**17-18 მაისი** ქ.გორის რაიონის სოფლებში, ხიდისთავის და სკრის საჯარო სკოლებში დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებთან გაიმართა შეხვედრები, სადაც მოსწავლეებს გავაცანით ჩვენი კოლეჯი, ვესაუბრეთ პროფესიული განათლების პოპულარიზაციაზე. შეხვედრებს ესწრებოდნენ კოლეჯის სასწავლო პრაქტიკის „პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, მოდულური პროგრამების, პიანისტ-აკომპანიატორის და მუსიკის რეპეტიტორის ხელმძღვანელები. ნაჩვენები იქნა კოლეჯის ვიდეორგოლი.

**25 ივნისი** ს.ცინცამის სახელობის სამუსიკო კოლეჯის საკონცერტო დარბაზში ჩატარდა კოლეჯთან არსებული სამუსიკო სემინარიის უმცროსკლასელთა კონცერტი, სადაც მონაწილეობა მიიღეს სემინარიის გუნდმა, I და III კლასის მოსწავლეებმა.

**30 ივნისი** ს.ცინცამის სახელობის სამუსიკო კოლეჯის საკონცერტო დარბაზში გაიმართა კოლეჯის სტუდენტების, სანგარიშო კონცერტი.

**მაისი-ივნისის** თვეში დიწყო ეტაპობრივი გამოკითხვა, კოლეჯის პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პროფესიული მასწავლებლების, და ასევე დამსაქმებლების. გამოკითხვა მიმდინარეობდა როგორც სატელეფონო, ასევე ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით.

**ივნისის** თვეში დასრულდა გამოკითხვა. მოხდა მონაცემების შეგროვება და კვლევის შედეგების ანალიზი.

**2-მაისიდან 22 აგვისტოს** ჩათვლით მიმდინარეობდა აპლიკანტების რეგისტრაცია <https://vet.emis.ge/#/>.

პროფესიულ პროგრამებზე დარეგისტრირების მსურველ პირებს საშუალება ჰქონდათ დეტალურად გაცნობოდნენ კოლეჯში მოქმედ მოდულური პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, დასაქმების სფეროს, ადგილზე მოსვლის შემთხვევაში ეხმარებოდნენ დარეგისტრირებაში.

**2 აგვისტოს** კოლეჯში მოეწყო ღია კარის დღე. ღია კარის დღეს ესწრებოდნენ როგორც დარეგისტრირებული აპლიკანტები ასევე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებით დაინტერესებული პირები. შეხვედრაზე ისაუბრეს კოლეჯის დირექტორმა, პროგრამის ხელმძღვანელებმა და სასწავლო პროცესის მენეჯერმა. ადგილზე მოხდა მოდულური პროგრამების გაცნობა. აპლიკანტებმა დაათვალიერეს კოლეჯი. აღსანიშნავია, რომ ღია კარის დასრულების შემგრომ კიდევ დარეგისტრირდა სამი მსურველი.

**10 აგვისტოს** გაიმართა შეხვედრა (ონლაინ პლატფორმა Zoom-ის გამოყენებით) სსიპ პროფესიული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ახალი სტანდარტების დანერგვა/გამოწვევები და რეკომენდაციები. წარმოდგენილ იქნა ცვლილებები დებულებებში. ავტორიზირებულმა კოლეჯებმა წარადგინეს პრეზენტაციები ისაუბრეს ავტორიზაციის დროს წარმოქმნილ გამოწვევებზე.

**11 აგვისტოს** გაიმართა ონლაინ შეხვედრა პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ შეხვედრაზე განიხილებოდა პოტენციური სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტთა იდენტიფიცირების და მოზიდვის საკითხები. სააგენტოს მიერ გამოგზავნილი იქნა

რეგიონების მიხედვით ორგანიზაციების, სკოლების მისამართები სადაც სპეციალურ და ინტეგრირებულ განათლებას გადიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები.

**11 აგვისტოს** გაიმართა მეორე ონლაინ სამუშაო შეხვედრა, სადაც პროფესიულ უნარების სააგენტოს თანამშრომლებთან ერთად ვიმსჯელეთ შემოქმედებითი და სპეციალური ტურის მეთოდების მეთოდოლოგიაზე, შეფასების კომპონენტებზე, ადმინისტრირების პროცესზე და სხვა რიგ საკითხებზე.

**18 აგვისტოს** გაიმართა ონლაინ შეხვედრა Teams-ის პლატფორმის გამოყენებით პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ. შეხვედრა იყო შემაჯამებელი ხასიათის სადაც თითოეულმა კოლეჯმა ისაუბრა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების როდენობაზე თუ რამდენია დარეგისტრირებული, აქვთ თუ არა სტატუსი. ასევე საუბარი იყო მოზიდვის და ხელშეწყობის მექანიზმებზე. პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ გამოითქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მომავალი წლიდან სსმ/შშმ პირებს მთელი წლის განმავლობაში ქონდეთ შესაძლებლობა დარეგისტრირდნენ მათთვის სასურველ კოლეჯში და მიიღონ პროფესიული განათლება.

**29 აგვისტოს** ს.ცინცაძის სახელობის კოლეჯში გაიმართა კონსულტაცია შემოქმედებით ტურებთან დაკავშირებით კონსულტაციას უძღვებოდნენ სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი და მოდულური პროგრამის ხელმძღვანელები. დარეგისტრირებულ აპლიკანტებს გაეცათ პასუხები ყველა მათ მიერ დასმულ კითხვაზე.

**12 სექტემბერს** ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მუსიკის რეპეტიტორი გაიმართა შემოქმედებითი ტური, სადაც გამოცხადდა 14 აპლიკანტი.

**13 სექტემბერს** ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პიანისტ-აკომპანიატორი გაიმართა შემოქმედებითი ტური, სადაც გამოცხადდა 6 აპლიკანტი.

**22 სექტემბერს** გაიმართა ონლაინ შეხვედრა Teams-ის პლატფორმის გამოყენებით, შეხვედრას უძღვებოდნენ თამარ კვინიკაძე და მარიამ ჩეკურიშვილი შეხვედრა გაიმართა მეორად მიღებებთან დაკავშირებით. ასევე შეგვახსენეს რომ 2 და 3 პროგრამაზე დარეგისტრირებულ სტუდენტებს საბოლოო არჩევანის გაკეთება შეეძლებათ 29 სექტემბრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით. შეხვედრამ ჩაიარა კითხვა პასუხის რეჟიმში. შეხვედრა გაიმართა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, პროფესიური განათლების განვითარების დეპარტამენტის მიერ.

**30 სექტემბერს** გაიმართა ონლაინ შეხვედრა Teams-ის პლატფორმის გამოყენებით სადაც განხილული იქნა სპეციალური საჭიროების მქონე აპლიკანტების ჩარიცხვის საკითხი მეორად მიღებებზე.

**5 ოქტომბერს** ჩატარდა ონლაინ შეხვედრა Teams-ის პლატფორმის გამოყენებით შეხვედრას უძღვებოდნენ სამინისტროს დეპარტამენტის, ემისის და პროფესიული უნარების სააგენტოს წარმომადგენლები. შეხვედრაზე განხილული იქნა მეორადი მიღებები რომელიც დაიწყება 14 ოქტომბეს და დასრულდება 18 ოქტომბერს.

**1 ოქტომბრიდან 8 ოქტომბრის** ჩათვლით მიმდინარეობდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული აპლიკანტების საბუთების შეგროვება.

**14 -18 ოქტომბერს** კოლეჯის ორ პროფესიულ მოდულურ პროგრამაზე: „პიანისტ-აკომპანიატორი“ და „მუსიკის რეპეტიტორი“ გამოცხადდა მეორადი მიღებები. ინფორმაცია განთავსდა კოლეჯის ოფიციალურ საიტებზე.

**13 ოქტომბერს** ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის დიდ დარბაზში გაიმართა საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების VI ეროვნული კონკურსი. მონაწილეობა მიიღეს: სსიპ ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯთან არსებული უმცროსკლასელთა გუნდი.ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზია. ა(ა)იპ ტირმნისის სამუსიკო სკოლის ფოლკლორული ანსამბლი.ქარელის რაიონი, ნანული ღამბაშიძის სახელობის დაბა აგარის ხელოვნების სკოლის აკადემიური გუნდი. კასპის მუსიკალური სკოლის გაერთიანებული გუნდი. სსიპ ვაჟა-ფშაველას სახელობის ქ.გორის N9 საჯარო სკოლა.

**8 ნოემბერს** ს.ცინცადის სახელობის სამუსიკო კოლეჯში გაიმართა ონლაინ შეხვედრა პლატფორმა Teams -ის გამოყენებით შეხვედრა ორგანიზებული იყო პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ . შეხვედრაზე ისაუბრე კურსდამთავრებულთა კვლევის მიზნებზე, ეტაპებზე და მის თავისებურებებზე. შეხვედრის მეორე ნაწილი მთლიანად დაეთმო კურსდამთავრებულთა კვლევის ელექტრონული პორტალის <https://evaluation.ge> -ის გაცნობას. კოლეჯების კურსდამთავრებულთა კვლევის კოორდინატორებს განუმარტეს, რომ მნიშვნელოვანია გადამოწმდეს ერთიან ელექტრონულ სისტემაში კურსდამთავრებულთა მონაცემების სიზუსტე. ასევე აუცილებელია კოლეჯის კურსდამთავრებულს კითხვარის გაგზავნამდე ეცნობოს კითხვარის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს დახმარების გაწევა.

**17 dekembers** gaimarTa onlain Sexvedra profesiuli unarebis saagentos mier sadac isaubres kursdamTavrebulTa saerTo kvlevaze, warmogvidgines erTiani eleqtronuli portali <https://evaluation.ge> portalze profesiuli unarebis saagentos mier Seyvanili iqna s.cincaZis saxelobis samusiko kolejis 2020-2021 wlis kursdamTavrebulebi. moxda dakavSireba TiToeul kursdamTavrebulTan gadamowmda maTi telefonebi da eleqtronuli fostebi, ris Semdegav moxda portalze Sesworeba. 17 dekembridan 25 dekembris CaTvliT mimdinareobda kursdamTavrebulTa kvleva. 12 kursdamTavrebulidan kvlevaSi monawileoba miiRo 10 kursdamTavrebulma.

**21 dekembridan 23 dekembris** CaTvliot profesiuli unarebis saagentos ორგანიზებით q TbilisSi sastumroში „Sain” - gaimarTa treningi, sagramto winadadebis SemuSavebis da fondebis moZiebasTan dakavSirebiT.

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი თავდაპირველად უშუალო კონსულტაციას უწევდა პროფესიულ მასწავლებლებს შეფასების ინსტრუმენტების შექმნასა და შემუშავებაში (საწყის ეტაპზე), ამჟამად ყველა პროფესიული მასწავლებელი სრულიად დამოუკიდებლად ადგენს შეფასების ინსტრუმენტებს და ხდება მათი მხოლოდ შემოწმება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ, რაც ეყრდნობა კოლეჯში შემუშავებულ და დატკიცებულ შესაბამის წესს.

წლის განმავლობაში ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერისა და მონიტორინგის ჯგუფის მიერ ტარდებოდა კოლეჯის მასწავლებელთა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვა კოლეჯის მიერ შედგენილი და განახლებული კითხვარების საშუალებით, რომელიც გულისხმობს კოლეჯში მიმდინარე ყველა პროცესზე საკუთარი აზრის დაფიქსირებას. კითხვარების ანალიზის საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები, რომელთა შესრულება ხორციელდება ეტაპობრივად.

პროფორინტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ კითხვარების მეშვეობით სისტემატიურად ხდებოდა და ხდება შრომის ბაზრის კვლევა, კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევა

კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე და ფეისბუქზე ხდება მიმდინარე სიახლეებისა და ინფორმაციის სისტემატური განთავსება და განახლება, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან აქვს მჭიდრო კონტაქტი, იცავს მათ უფლებებს, რომელიც გაწერილია კოლეჯის მარეგულირებელ დოკუმენტებში, უშუალო მონაწილეობას იღებს მათთვის სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სირთულეების გადაჭრაში.

2022 წელს სრული დატვირთვით აღდგა კოლეჯის საკონცერტო დარბაზის ფუნქცია. ჩატარდა კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა და მოსწავლეთა საანგარიშო კონცერტები. ტრადიციული აკადემიური და საანგარიშო კონცერტები კოლეჯის სტუდენტთა და მოსწავლეთა მონაწილეობით.

სამუსიკო კოლეჯის პროფესიული მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისათვის შეიქმნა კოლეჯის დომენით განსაზღვრული ელექტრონული ფოსტები. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერისა და სასწავლო პარტნიორის, პროფორინტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის ინიციატივით კოლეჯის კომპიუტერულ ლაბორატორიაში მოეწყო საინფორმაციო შეხვედრა პროფესიულ მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან, სადაც მოხდა სასწავლებლის დომენით განსაზღვრული ელექტრონული ფოსტების გაცნობა და გამოყენების ხერხები. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2022 წლის მიღებისათვის აქტიური მზადება მიმდინარეობდა. მზადება დაიწყო მათთვის თვეში. მომზადდა ვებინარები, პირდაპირ „Facebook Live” ჩართვა; განცხადება განთავსდა კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, სოციალურ ქსელში და

საგანმანათლებლო პორტალზე; მოეწყო ღია კარის დღე, რომელზეც აპლიკანტებს მიეწოდათ ამომწურავი ინფორმაცია სასწავლო პრაქტიკის მენეჯერისა და პროგრამების ხელმძღვანელების მიერ სასწავლო პროცესისა და დასაქმების პერსპექტივებზე.

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერისა და სასწავლო პროცესის მენეჯერის ინიციატივით აპლიკანტებს კოლეჯის დარბაზში ჩატარდათ კონსულტაცია შემოქმედებითი ტურების ჩატარების თაობაზე.

შემოქმედებითი ტურები კოლეჯში მაინც პანდემიის პრევენციის რეკომენდაციების სრული დაცვით ჩატარდა; მომზადდა ორი აუდიტორია მეორე სართულზე, სადაც აპლიკანტის ადგილი დადგენილი დისტანციის გათვალისწინებით მოინიშნა სტიკერებით, განთავსდა სადებიზინფექციო საშუალებები. მისაღებ გამოცდებზე დაცული იყო პანდემიის პირობებში უსაფრთხოების ყველა მოთხოვნა.

კოლეჯს თავისი საქმიანობის წარმატების ერთ-ერთ ინდიკატორად სტუდენტთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესება მიაჩნია. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტებსა და პროფესიულ სტუდენტთან ჩარიცხვისას გაფორმებულ ხელშეკრულებაში კოლეჯი იღებს ვალდებულებას

- ა) შეუქმნას სტუდენტს ყველა პირობა საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებიდან გამომდინარე;
- ბ) შეუქმნას ყველა პირობა საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებულ მოდულებში მეცადინეობების მაღალ აკადემიურ და მეთოდურ დონეზე ჩასატარებლად;
- გ) განახორციელოს სტუდენტის მომზადება და მისი ცოდნის შეფასება საერთაშორისო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად;
- დ) უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტი პრაქტიკით საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ვადებში;
- ე) უზრუნველყოს ხელმისაწვდომობა იმ მატერიალურ - ტექნიკური საშუალებებისა, რომლებიც აუცილებელია სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამი ს ათვისებისათვის (კომპიუტერული ტექნიკა, ბიბლიოთეკა, მუსიკალური ინსტრუმენტები და სხვა);
- ვ) უზრუნველყოს სტუდენტისათვის საჭირო ნორმატიული დოკუმენტების (საგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო გეგმები, შეფასების სისტემა, კოლეჯის შინაგანაწესი, წესდება და სხვა) ხელმისაწვდომობა. ამ მიზნით აღნიშნული დოკუმენტაცია განთავსებულია კოლეჯის ვებ-გვერდზე და ბიბლიოთეკაში;
- ზ) უზრუნველყოს ისეთი გარემო, სადაც დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის დისკრიმინაცია რელიგიური, რასობრივი, ნაციონალური, გენდერული და სხვა დისკრიმინაციული მოტივებით;

კოლეჯის საქმიანობის მთავარი განმასხვავებელი, ე.წ. „საფირმო“ ნიშანია წარმატებული სტუდენტების მონაწილეობა კოლეჯის საკონცერტო ცხოვრებაში. აკადემიური და გასვლითი კონცერტები სასწავლო პროცესის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია. საბედნიეროდ, მიმდინარე წლის თებერვლიდან შესაძლებელი გახდა საკონცერტო დარბაზში აუდიტორიის მოწვევა და კონცერტის გამართვა, 9 აპრილს კოლეჯის მოსწავლეთა გუნდი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გამართულ უკრაინისადმი სოლიდარობის კონცერტში მონაწილეობდა. შესრულდა გია ყანჩელის “სევდის ანგელოზები” გოგონათა გუნდის, ვიოლინოს, ალტისა და სიმფონიური ორკესტრისათვის. 10 მაისს კი კონსერვატორიის დიდ დარბაზში წარსდგნენ პროფესორ შალვა მოსიძის 85 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კონცერტზე სადაც მისი აღზრდილი დირიჟორების საგუნდო კოლექტივები მონაწილეობდნენ.

ქართული ფოლკლორისა და კლასიკური მუსიკის განვითარების კავშირი „ჰარმონიის“ მიერ თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ სიდემში ა/წლის 1-9 მაისს ჩატარდა საერთაშორისო კონკურსი-ფესტივალი , სადაც მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის სკოლისგარეშე სამუსიკო პროგრამების მოსწავლეებმა (მომავალმა სტუდენტებმა), მათ ერთი პირველი და ორი მეორე პრემია და ლაურეატის დიპლომები მოიპოვეს.

15 ივნისს კოლეჯში ჩატარდა კლასიკური მუსიკის შემსრულებელთა კონკურსის რეგიონული ტური, სადაც კოლეჯის აღზრდილებმა მიიღეს მონაწილეობა.

თბილისის შემოდგომის მუსიკალურ ფესტივალზე ოქტომბერში კოლეჯის გუნდი მონაწილეობდა უკრაინისადმი მიძღვნილ დიდ საქველმოქმედო კონცერტში ნინო ქათამაძესთან, უკრაინელ მომღერალთან, ლიზი რამიშვილთან, გიორგი ცაგარელთან და ევგენი მიქელაძის სახელობის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, ხოლო 18 დეკემბერს ანალოგიური კონცერტი გორის გ.ერისთავის სახელობის თეატრში გაიმართა.

ჩატარდა მოსწავლეთა დახურული და ღია კონცერტები, მოსწავლეები მონაწილეობდნენ საქართველოს სამუსიკო სკოლებისა და სასწავლებლების მოსწავლეთა X ეროვნულ(რეგიონულ) კონკურსის საზეიმო გალა-კონცერტში, რომელიც ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში გაიმართა, კოლეჯი რამდენიმე მოსწავლე და მასწავლებელი დაჯილდოვდა კონკურსის სამსახსოვრო დიპლომებით. კოლეჯის მოსწავლეთა გუნდი, რომელიც მრავალი საერთაშორისო და ეროვნული კონკურსის გრან-პრისა და პრემიისა და ოქროს მედლის მფლობელია, პირველად მონაწილეობდა ონლაინ საერთაშორისო კონკურსში.

სსიპ-გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ „ინსტრუმენტების კონკურსში“ და გაიმარჯვა. გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „აიემტი სი მიუზიკ“-თან „იამაჰას“ ფირმის როიალის შეძენაზე. როიალი 2022 წლის 17 იანვარს უკვე მოეწოდა კოლეჯს.

კოლეჯის არსებული ვებგვერდის სივრცე აღარ იძლეოდა კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისთვის დომენით ...@gorimuscollege.edu.ge გამოყოფილი ელექტრონული ფოსტით სარგებლობის შესაძლებლობას.( ასეთი ფოსტით სარგებლობდა ადმინისტრაცია და კანცელარია). უჭირდა მუშაობა ვებგვერდსაც. ამიტომ 2022 წლის იანვრიდან გაფორმდა ხელშეკრულება 960 ლარზე ახალი დომენით სარგებლობისათვის. პირველი იანვრიდან კოლეჯის ვებგვერდი უკვე მუშაობს ახალი, 50 გიგაბაიტი სიმძლავრით, რათა შესაძლებელი იყოს კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისთვის დომენით გამოყოფილი ელექტრონული ფოსტით სარგებლობა(თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტები ბევრად უფრო აქტიურად და ოპერატიულად ფეისბუკით და მესენჯერში შექმნილი ჯგუფებით ურთიერთობენ.

სამუსიკო კოლეჯის პროფესიული მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისათვის შეიქმნა კოლეჯის დომენით განსაზღვრული ელექტრონული ფოსტები. ამგვარად კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერისა და სასწავლო პარქტიკის, პროფორიენტციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის ინიციატივით კოლეჯის კომპიუტერულ ლაბორატორიაში მოეწყო საინფორმაციო შეხვედრა პროფესიულ მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან, სადაც მოხდა სასწავლებლის დომენით განსაზღვრული ელექტრონული ფოსტების გაცნობა და გამოყენების ხერხები.

სისტემატურად მიმდინარეობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სსიპ-განათლების საინფორმაციო სისტემისა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის მიერ ორგანიზებული ონლაინ ტრენინგები და საინფორმაციო შეხვედრები 2022 წლის საშემოდგო მიღებაზე პასუხისმგებელ პირებთან, სადაც განხილულ იქნა 2022 წლის საშემოდგო მიღებასთან დაკავშირებული საკითხები და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში აპლიკანტთა რეგისტრაციის პროცესი (vet.emis.ge).

ამგვარად, 2022 წლის საშემოდგო მიღებისათვის შეიქმნა სხვადასხვა ტიპის სარეკლამო ბანერი, რომელიც აპლიკატთა რეგისტრაციის განმავლობაში თავსდებოდა კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.gorimuscollege.edu.ge](http://www.gorimuscollege.edu.ge), Facebook გვერდზე და სოციალური ქსელის ჯგუფებში. ასევე ზიარდებოდა და ანონსდებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და განათლების საინფორმაციო სისტემის მიერ მოწოდებული ყველა სიახლე. იხილეთ ლინკები:

- <http://gorimuscollege.edu.ge/index.php/home/news/99-2021-07-07-11-11-53>
- <http://gorimuscollege.edu.ge/index.php/home/news/100-2021-07-09-07-32-18>
- <http://gorimuscollege.edu.ge/index.php/home/news/101-2021-07-16-07-38-07>
- <http://gorimuscollege.edu.ge/index.php/home/news/102-2021-07-30-14-59-45>
- <http://gorimuscollege.edu.ge/index.php/home/news/103-2021>
- <http://gorimuscollege.edu.ge/index.php/home/news/104-20>
- <http://gorimuscollege.edu.ge/index.php/home/news/105-20-2>
- <http://gorimuscollege.edu.ge/index.php/home/news/106-2021-09-04-10-58-54>
- <http://gorimuscollege.edu.ge/index.php/home/news/107-2021-09-06-11-38-29>
- <http://gorimuscollege.edu.ge/index.php/home/news/108-2021-09-06-12-24-47>

<http://gorimuscollege.edu.ge/index.php/home/news/113-2021-09-20-06-56-42>[tp://gorimuscollege.edu.ge/index.php/home/news/109-2021-09-08-13-47-37](http://gorimuscollege.edu.ge/index.php/home/news/109-2021-09-08-13-47-37)  
<http://gorimuscollege.edu.ge/index.php/home/news/115-2021-4>  
<http://gorimuscollege.edu.ge/index.php/home/news/117-2021-10-13-09-39-12> <http://gorimuscollege.edu.ge/index.php/home/news/118-2021-10-13-09-45-13>

ივლისის თვეში განხორციელდა კოლეჯის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა. კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში მიეწოდა კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს და მოხდა გამოკითხვის შედეგების ანალიზი.

როგორც მოგეხსენებათ 2019 წლიდან კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, სასწავლო პრაქტიკის პროფორინტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერისა და არასამთავრობო ორგანიზაციის („ხიდი მომავლისაკენ / BRIDGE TO THE FUTURE“) ურთიერთანამშრომლობით სტუდენტთა ცნობიერების ამაღლების მიზნით დაიწყო საინფორმაციო შეხვედრებისა და სემინარების ჩატარება ისეთ საკითხებზე, როგორცაა „ქალთა მიმართ ძალადობა, კიბერბულინგი“, „ტრეფიქინგთან და ნარკომანიასთან ბრძოლა“. 2022 წელს ჩატარდა სემინარი თემაზე „ნარკოტიკების მოხმარებისა და სხვა პრობლემური ქცევების რისკ და დამცავი ფაქტორები საქართველოს მოზარდებსა და ახალგაზრდებში“, სადაც განხილული იქნა შემდეგი საკითხები:

- თამბაქოს, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარება ადრეულ ასაკში;
- ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების დაწყების ასაკი და ნივთიერებათა მოხმარებასთან დაკავშირებული რისკის აღქმა;
- ნარკოტიკების შესახებ ინფორმაციის წყაროები;
- სხვა ანტისოციალური ქცევები: აზარტული თამაშები და მისი გამოცდილება სხვა ანტისოციალურ ქცევებთან დაკავშირებით ;
- ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება და სხვა პრობლემური ქცევები.

სხვადასხვა კატეგორიის რესპოდენტების გამოკითხვისა და მათი პასუხების საფუძველზე განახლდა SWOT-ანალიზი, რომელსაც ძირითადად საფუძვლად უდევს პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგები. SWOT - ანალიზის შედეგები წარედგინა კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს და მოხდა მისი განხილვა.

კოლეჯს გააჩნია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიწერილობა (N354/07.02.2020). მასში შემოწმების დროს გამოვლენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევათა აღმოფხვრის მიზნით, შესრულების ვადების მითითებით, გაწერილია სავალდებულო ღონისძიებათა ჩამონათვალი. კოლეჯის მიერ აღმოიფხვრა დარღვევები, მოძიებულ იქნა საჭირო ფინანსები, შედგა სათანადო ხარჯთაღრიცხვა, გამოცხადდა ტენდერი და გამოვლინდა გამარჯვებული ფირმა L+, რომლის მიერ კოლეჯში დამონტაჟებული იქნა სახანძრო სიგნალიზაცია. ამრიგად, მიწერილობის ყველა პუნქტი შესრულდა,

2022 წელს საერთო სივრცეში, პირველი სართულის ფოიეში მოიხსნა წვადი მოპირკეთება, ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, განახლდა ხის პანდუსები. 2022 წლის ოქტომბერში ინფრასტრუქტურის სააგენტომ კოლეჯს გამოუყო თანხა 19850 ლარი შენობაზე მეხამრიდის დასამონტაჟებლად. ამჟამად მიმდინარეობს ხარჯთაღრიცხვის მომზადება და საბუთების შეგროვება ტენდერის გამოსაცხადებლად.

მიმდინარეობს კოლეჯის დოკუმენტაციის სისტემატური განახლება ახალი სახელმძღვანელო დოკუმენტების შესაბამისად. ცვლილებები შევიდა კოლეჯის რამდენიმე მარეგულირებელ დოკუმენტში, შემუშავდა შუალედური შეფასების ჩატარების წესი.

და 84 თ ა/აქტივი 14765 ლარი სულ 185378 ლარი.

**1.Sromis anazRaurebaze gaixarja** შტატის თანამშრომელები - 92550 ლარი.

**2.saqoneli da mosaxureba – 69672 ლარი და 84 თ.** აქედან:

ა/აქტივი

ავტორიზაციის განხილვის საფასური (სტატუსის მაძიებლისათვის)- 14765 ლარი

**sakuTari saxsrebi**

ganaTlebis da mecnierEBis saminstros mier Caricxulia saswavlo vauCeri :

2022 wels 12 TveSi miRebulia sakuTari saxsrebSi vauCeruli dafinanseba – 189787 lari 19 თ.

gaxarjulia : Sromis anazRaureba (შტატგარეშე მასწავლებლები) – 72815 ლარი